საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 29 ივლისის №14 სხდომის მიერ

გამოკითხვის წესით მიღებული

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარუდგინა საკითხი სტუ-ის იჯარით გასაცემი ფართობის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, კანონით დადგენილი წესით, 10 წლის ვადით, იჯარით გასცეს სტუ-ის ფართობი 21 105.00 კვ.მ. (მდებარეობა: გარდაბნის რაიონი, სოფელი მარტყოფი, ვაზიანის დასახლება, სტუ-ის სამრეწველო ზონა).

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი ჯემალ

გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 29 ივლისის №14 სხდომის მიერ

გამოკითხვის წესით მიღებული

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარუდგინა საკითხი სტუ-ის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხარჯთაღრიცხვებსა და ნაერთ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: სტუ-ის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხარჯთაღრიცხვებსა და ნაერთ ბიუჯეტში განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

1. სტუ-ის ბიოტექნოლოგიის ცენტრის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში სამეცნიერო ხარჯებიდან 1 500 ლარი გადატანილ იქნეს საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნისა და თარგმანის მომსახურეობის ხარჯებში;

3. სტუ-ის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში ელექტროენერგიის ხარჯებიდან 220 ლარი გადატანილ იქნეს სამეცნიერო ხარჯებში.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი ჯემალ

გახოკიძე